**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2021-2022 წლის ანგარიში**

**ბათუმის ბიუჯეტი**

2021 წელი - 178 მილიონ 358 ათასი ლარი

2022 წელი - 293 მილიონ 800 ათასი ლარი

2021 წლიდან 2022 წლამდე ბიუჯეტი გაიზარდა 115 მილიონ 442 ათასი ლარით.

**ინფრასტრუქტურა**

**გზების კაპიტალური მშენებლობა და რეაბილიტაცია**

გზების მშენებლობა და აღდგენა-რეაბილიტაცია განხორციელდა 41 ქუჩასა და მონაკვეთში

ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები განხორციელდა 177 მისამართზე

კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტირდა ჯამში 351 289 კვ.მ ტერიტორია

გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის ჯამში დაიხარჯა 23 მილიონ 781 ათას 322 ლარი

**ინფრასტრუქტურა**

**სანიაღვრე არხები**

სანიაღვერე არხების მოწყობა განხორციელდა 52 მისამართზე

**კომუნალური სისტემის მოწყობა**

კომუნალური სისტემის მოწყობა განხორციელდა 72 მისამართზე

**სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები**

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები განხორციელდა 145 მისამართზე

**ინფრასტრუქტურა**

ხელმისაწვდომი საცხოვრისი

**ჯავახიშვილის ქ.#78ა-ში აშენდა 4 ხუთსართულიანი, 80 ოჯახზე გათვალისწინებული კორპუსი**

100 ოჯახზე გათვლილი 4 სოციალური სახლის მშენებლობა ჯავახიშვილის ქ.#82-ში

**ინფრასტრუქტურა**

**ბათუმი ავარიული სახლების გარეშე**

3000-ზე მეტი ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო შეიქმნება

3000-ზე მეტი ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო შეიქმნება

172 სახლზე უკვე მომზადდა საექსპერტო დასკვნა

სამშენებლო-გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 7 მისამართზე

საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს ხინიკაძის ქ. #7-ში

დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს ს. ხიმშიაშვილის ქ. #94-96-სა და კახაბრის ქ. #30-ში

ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს 26 მაისის ქ. #13-ში

ამ ეტაპზე, პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, ბათუმის მერიაში შემოსულია 363 განაცხადი

**ინფრასტრუქტურა**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

აბაშიძის #4

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე

დემეტრე თავდადებულის ქ. #35

26 მაისის ქ. #19

**ინფრასტრუქტურა**

**სასპორტო ინფრასრქტურა**

სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია განხორციელდა 33 მისამართზე

ტრენაჟორების მონტაჟი განხორციელდა 39 მისამართზე

**ინფრასტრუქტურა**

**პარკები და სკვერები**

სკვერების მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა 32 მისამართზე

ატრაქციონების მონტაჟი განხორციელდა 56 მისამართზე

ატრაქციონების რეაბილიტაცია განხორციელდა და მიმდინარეობს 178 მისამართზე

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში განახლდა და განთავსდა 363 ფანჩატური და საბაღე სკამი

**კომუნალური ინფრასტრუქტურა**

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით, ბათუმში წყლისა და წყალარინების სისტემების პროექტის IV ფაზა დასრულდა

შემოერთებულ ტერიტორიებზე იწყება პროექტის V ფაზის განხორციელება, რისთვისაც 78.8 მილიონი ევრო დაიხარჯება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წყალარინების გამწმენდი ნაგებობების გაფართოება, სატუმბი სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია და წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა.

**კომუნალური ინფრასტრუქტურა**

მე-V ფაზის ფარგლებში  გათვალისწინებულია:

ჩაქვის წყალსადენის, გამწმენდი ნაგენობების ინფრასტრუქტურის სრული განახლება

ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის რეაბილიტაცია.

№1 სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობა

№2 სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია

ინჯალოს წყლის სამარაგე რეზერვუარის და წყალსადენის მკვებავი ხაზის მშენებლობა,

კახაბრის, მეჯინისწყლის  და აეროპორტის დასახლებების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა.

ამავე ტერიტორიებზე გათვალისწინებულია წყალარინების ინფრასტრუქტურის  განვითარება და ადლიის გამწმენდი ნაგებობების გაფართოება-რეაბილიტაცია.

**ინფრასტრუქტურა**

**დასრულდა**

**4 სოციალური სახლის მშენებლობა ი. ჯავახიშვილის ქ.#82-ში, სადაც წლის ბოლოს 100 ოჯახი  მიიღებს ბინებს**

**მიმდინარე პროექტები**

სამრეწველო ზონის მიმდებარედ მთავარი და მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობა

ბაგრატიონის ქუჩის რეაბილიტაცია

ვახტანგ გორგასლის ქუჩის კეთილმოწყობა

კობალაძის ქუჩის რეაბილიტაცია

აღმაშენებლის ქუჩაზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა

ტბელ აბუსერიძის და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაში არსებულ წრიულზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა

4 სოციალური სახლის მშენებლობა ი. ჯავახიშვილის ქ.#82-ში,სადაც წლის ბოლოს 100 ოჯახი მიიღებს ბინებს

აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გამაგრება-რეაბილიტაცია

15000-მდე ენერგოეფექტური LED განათების მონტაჟი, რაც ელექტროენერგიის მოხმარებას დაახლოებით 40%-ით შემცირებს

ე.წ. ,,ბენზეს" დასახლებაში კვარტალი 331-ის კეთილმოწყობა

**სატრანსპორტო პოლიტიკა**

დასრულდა ველოგადაადგილების გენერალური გეგმის შემუშავება

,,ბათუმველოს“ პროექტის ფარგლებში, მუნიციპალურ ველოსიპედებზე დამონტაჟდა 30 ახალი ჯპს მოწყობილობა.

2022 წელს ქალაქის მასშტაბით არსებულ ველოსადგომებს დაემატა 8 ერთეული, 2023 წელს იგეგმება კიდევ 10 ახალი ველოსადგომის მონტაჟი.

2023 წელს ველოსიპედების რაოდენობა 50-ით გაიზრდება და ძალაში შევა სააბონემენტო მომსახურება.

„შენი იდეა ბათუმს“ პროექტის ფარგლებში 10 სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსდა ველოსადგომები კერძო საკუთრებაში არსებული ველოტრანსპორტისთვის, 2023 წელს დაემატება კიდევ 2 სადგომი.

განახლდა ბათუმის ავტოპარკი  40 ახალი ავტობუსით

EBRD-ის ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმში კიდევ 85 ახალი ელექტროტაბლო დამონტაჟდება. მხარეებს შორის შესაბამის ხელშეკრულებას ხელი უკვე მოეწერა.

2023 წელს იგეგმება ბათუმის ავტოტრანსპორტის მობილური აპლიკაციის შექმნა, ავტობუსში გაჩერებების გახმოვანების აუდიო სისტემის დანერგვა და ავტობუსის გაჩერებებზე არსებულ მოსაცდელებზე  QR კოდების განთავსება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მოცემულ ლოკაციაზე ყველა სამარშრუტო ხაზის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება.

**ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების განვითარებისთვის 15 მილიონი ევროს გამოიყოფა**

მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა ნებისმიერი საბანკო ბარათით იქნება შესაძლებელი

**ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება**

ბათუმის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურმა 2 წლის განმავლობაში 38 მასშტაბური პროგრამა და ქვეპროგრამა განახორციელა

პროგრამებში ჩართული იყო საშუალოდ 110 ათას 953 ბენეფიციარი

**განათლება კულტურა სპორტი ახალგაზრდობა**

განხორციელდა 34  პროგრამა და ქვეპროგრამა

ლუკა ასათიანის  სახელობის სტიპენდია მიიღო 200-მა  სტუდენტმა

დაიწყო ახალი კონკურსი - ,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის’’

დაჯილდოვდა 207  სპორტისა და 51  კულტურის სფეროს წარმომადგენელი

,,ახალგაზრდული ინიციატივების“ ფარგლებში დაფინანსდა და განხორციელდა 22 პროექტი

ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების ფარგლებში განხორციელდა 4 პროექტი

ღონისძიების ,,ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა" ფარგლებში დაფინანსდა 8 სტუდენტი

ახლგაზრდული ცენტრის ფარგლებში განხორციელდა 10 ღონისძიება, რომელთა ფარგლებში ჩატარდა 200-მდე სხვადასხვა სახის აქტივობა.

**მუნიციპალური სერვისების სააგენტო**

სერვისცენტრების მომსახურებით ისარგებლა 15 344-მა მოქალაქემ

პროფესიული განვითარების მიზნით 193 თანამშრომლი გადამზადდა როგორც საბაზისო, ასევე დამატებით სატრენინგო მოდულებში

ბათუმის მერმა 700-მდე მოქალაქესთან გამართა მერიის ადმინისტრაციასა და სერვისცენტრებში

**მუნიციპალური სერვისების სააგენტო**

ქვაფენილიანი ქუჩების რეაბილიტაცია - 102695 მ².

დაზიანებული ბორდიურების რეაბილიტაცია-მოწყობა - 1554,91 გრძ.მ.

დაზიანებული ტრტუარის ფილების რეაბილიტაცია - 8567 მ².

დაზიანებული ბოძკინტის რეაბილიტაცია და ახლის მონტაჟი - 4743 ერთეული

არაასფალტირებული ქუჩების მოხრეშვა-მოშანდაკება - 141000 მ²

ახალი გზაგამყოფი დეკორატიული ღობეების მონტაჟი-რეაბილიტაცია - 2417 ერთეული

**ბათუმის წყალი**

„ბათუმის წყალი“ ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და შემოერთებული ტერიტორიების მასშტაბით 100 ათასამდე აბონენტს ემსახურება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში წყალმომარაგების ახალ ქსელზე გადაერთო 10 ათასამდე აბონენტი.

იგეგმება დამატებით 12 ათასი აბონენტის გადართვა.

მოეწყო 26 ათასი გრძივი მეტრი წყალმომარაგების ახალი ქსელი.

კახაბრის დასახლებაში განხორციელდება წყალსადენის ქსელის სატუმბი სადგურის, რეზერვუარისა და 150 კბმ-იანი ავზის მშენებლობა.

გონიო-კვარიათში მიმდინარეობს წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელის მოწყობა და მოსახლეობის ახალ ქსელზე დაერთების სამუშაოები. ჯამში მოეწყობა 5 ათასი გრძივი მეტრი ახალი წყალმომარაგების ქსელი.

**მწვანე ბათუმი**

**გამწვანდა:**

150-მდე ქუჩა

25 სკვერი.

**დაირგო:**

5 600 ხე-მცენარე

1 მილიონ 149 500 ერთწლოვანი ყვავილი

**დასუფთავება**

1752 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი

9 ერთეული სხვადასხვა ტიპის სპეცტექნიკა

შესყიდულია 1500 ნაგავშემკრები და სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი

ქალაქის მასშტაბით განთავსდა 47 ერთეული სეპარირების ურნა

იგეგმება დამატებით 30 კონტეინერის განთავსება

**მუნიციპალური ინსპექცია**

სამშენებლო და უსაფრთხოების საჯარო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა 1292 სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი

მიმდინარე და გასულ წლებში დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე გამოცემულია 1876 დადგენილება

გამოცემულია 482 სააღსრულებლო ფურცელი.

ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით შემოვიდა 149 განაცხადი

პარკირებისა და ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა 92 136 სამართალდარღვევა

**მუნიციპალური ინსპექცია**

ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა 308 სამართალდარღვევის ფაქტი

79 უსახური და მიტოვებული ავტომობილი გაყვანილი იქნა ქეთევან წამებულის ქუჩიდან

92 136 სამართალდარღვევა გამოვლინდა პარკირებისა და ტრანსპორტის ზედამხედველობის მიმართულებით.

127 ობიექტზე, უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო ტერიტორია იქნა გამოთავისუფლებული

ბათუმის ბულვარში უკანონოდ განთავსებული „პიერ ბათუმის“ კონსტრუქციების დემონტაჟი განხორციელდა

**თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან**

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და პოლონეთის გამოწვევების ფონდის დაფინანსებით, ბათუმში ჭკვიანი შუქნიშნები დამონტაჟდა.

გაეროს განვითარების პროგრამის მხადაჭერით, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის 15 ლოკაციაზე განთავსდა პოლიეთილენის სეპარირებისათვის საჭირო გამჭვირვალე ურნები.

დასრულდა მუშაობა „უსაფრთხო გზა სკოლამდე“ სახელმძღვანელოს მომზადებასა და საპარკინგე პოტენციალის კვლევაზე.

დასრულების ეტაპზეა, „ფეხით გადაადგილების“ კონცეფცია (Walkability concept).

GIZ-ის ქალაქების ქსელის პროექტის მხარდაჭერით, ბათუმი ბალტიის ზღვის ქსელის საპატიო წევრი გახდა.

შემუშავდა და დამტკიცდა „ბავშვზე მორგებული ქალაქის“ ინიციატივის (CFCI) სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რის საფუძველზეც ბათუმმა ბავშვზე მორგებული კანდიდატის ქალაქის სტატუსი მიიღო.

KfW-ს მხარდაჭერით, დაიწყო პროექტის - „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება საქართველოში“ განხორციელება.

პროექტის დასრულების შემდეგ, ბათუმი ევროსტანდარტების შესაბამისი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბავშვო ბაღების მქონე პირველი ქალაქი იქნება საქართველოში.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებითა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ორგანიზებით, მიმდინარეობს ბათუმის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში, მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნისა და დანერგვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული ბათუმის მუნიციპალიტეტი გახდა.

ბათუმი იუნესკოს სასწავლო ქალაქების გლობალურ ქსელს (UNESCO GNLC ) შეუერთდა

ბათუმს UNESCO-ს მუსიკის ქალაქის წოდება მიენიჭა და ამ ტიტულით პირველი ქალაქია საქართველოში, რომელიც UNESCO-ს შემოქმედებითი ქალაქების ქსელს შეუერთდა.

ბათუმის მერია საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსის გამარჯვებულია.

კონკურსში ბათუმის მერიამ „საყოფაცხოვრებო ნარჩენების წყაროსთან დახარისხების ქცევითი ექსპერიმენტით“ გაიმარჯვა.

**მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი - შენი იდეა ბათუმს**

დასრულდა 9  და მიმდინარეობს 3 იდეის განხორციელება.  (განხორციელებული - 6 განათლება 2021-2022წწ და 3 კეთილმოწყობა 2022წ)

2023 წლის წლის ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარით დაფინანსდება ახალი იდეები, რომელთა შესარჩევი კონკურსი უკვე დაწყებულია.